ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების წინააღმდეგ კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
ალტერნატიული ანგარიში

2020 წელი

სარჩევი

შესავალი 3

დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები 3

მინისტრთა კომიტეტის შუალედური რეზოლუცია 3

სახელმწიფოს საქმიანობის შეფასება 4

არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები 7

წამების და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა 7

საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა/არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება 8

ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, დოკუმენტირება და გამოძიებისთვის შეტყობინება 9

მოსამართლის როლი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის პროცესში 11

დაზარალებულთა ჩართულობა გამოძიების მიმდინარეობისას და საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა 12

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების უზრუნველყოფა 13

რეკომენდაციები 13

იდენტობის ჯგუფის საქმეებზე 13

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე 14

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მიმოვიხილავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობას ე.წ. „ცინცაბაძის ჯგუფის“ და „იდენტობის ჯგუფის“ საქმეებთან მიმართებით. კერძოდ, შევაფასებთ აღნიშნულ საქმეებში ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთვის დაკისრებული ზოგადი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობას, თუ რა ზომები განახორციელა სახელმწიფომ და/ან უნდა განახორციელოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით. მიმოვიხილავთ ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში გაეროს) წამების წინააღმდეგ კომიტეტის მიერ საქმეზე „ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ“ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც ზედამხედველობს ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებას, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები ერთ ჯგუფად გააერთიანა ე.წ. „იდენტობის საქმეების ჯგუფში“. ამ ჯგუფში შედის საქართველოს მიმართ გამოტანილი 4 საქმე.[1]

მინისტრთა კომიტეტის შუალედური რეზოლუცია

იდენტობის ჯგუფის საქმეებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ბოლო შუალედური რეზოლუცია (გადაწყვეტილება) 2019 წლის 23-25 სექტემბერს, 1355-ე შეხვედრაზე მიიღო. მოკლედ წარმოგიდგენთ რეზოლუციის მთავარ ასპექტებს სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ზოგად ღონისძიებებთან მიმართებით. კერძოდ:

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში რელიგიის თავისუფლების მუხლის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროპული კონვენცია) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობაში მოყვანა. აგრეთვე მიესალმა კანონმდებლობაში, მათ შორის სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში, განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას.[2] კომიტეტი აგრეთვე მიესალმა განხორციელებულ სასწავლო პროგრამებს, რომლითაც უზრუნველყოფილია მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პირების

[1] 1) იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი N 73235/12; 2) გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71156/01; 3) ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საჩივარი N 28490/02; 4) ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება, საჩივარი N 18766/04.

[2] 2019 წლის 3 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი.

გადამზადება, მათ შორის დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ.

რეზოლუციაში კომიტეტმა ხაზი გაუსვა ქვეყანაში პლურალიზმის და შემწყნარებლური გარემოს მნიშვნელობას და ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას სრულყოფილად უზრუნველყოს თავისუფლად შეკრების უფლება და დაიცვას შეკრებაში მონაწილე პირების უსაფრთხოება.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა 2019 წლის ივნისში ლგბტ+ თემის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი აქტების, აგრეთვე სახალხო დამცველისა და მისი მოადგილეების მიმართ განხორციელებული მუქარის გამო. მიუხედავად დაწყებული გამოძიებისა, კომიტეტმა ხაზი გაუსვა სამართალდამცავი ორგანოების უუნარობას ადგილზე აღეკვეთათ ძალადობრივი ფაქტები.

მინისტრთა კომიტეტმა გაიზიარა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებში გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებები. აღნიშნული ექსპერტი 2018 წლის ოქტომბერში ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოში. ექსპერტი მიიჩნევს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, საქართველოში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომელიც დისკრიმინაციის აღმოფხვრის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების პრევენციისა და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად არის გასატარებელი.

მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, სრულად და ეფექტიანად უზრუნველყოს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების წარმოება, რომელიც დაკავშირებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებებთან, მათ შორის გაითვალისწინოს დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი და შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის გათვალისწინებით გამოძიება წარმართოს სათანადო სამართლებრივი კვალიფიკაციის შესაბამისად. აღნიშნული განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც შესაძლო დანაშაული ჩადენილია სამართალდამცავთა მიერ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სახელმწიფოს დამატებით მოუწოდა შექმნას სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფი პოლიციაში, რომელიც უზრუნველყოფს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას.

სახელმწიფოს საქმიანობის შეფასება

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს 2019 წელს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, კერძოდ სახალხო დამცველის მანდატის გაფართოებას, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რომლის მიხედვით გარკვეული კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაში დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება ზემდგომი პროკურორის შემდეგ ერთჯერადად სასამართლოში

გაასაჩივროს.[3] განხორციელებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებად დისკრიმინაციული მოტივის არარსებობა, აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება სპეციალურ ანგარიშშიც გაამახვილა.[4]

სახალხო დამცველი მიესალმება დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით იმ სასწავლო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლებისკენ.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროგრამების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძალისხმევის მიუხედავად, 2019 წელს განვითარებული მოვლენები, სწავლების დროს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციის ნაკლებობაზე მიუთითებს.

აღნიშნული ნათლად გამოიხატა, 2019 წლის 8 ნოემბერს, თბილისში ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ" ჩვენების პრემიერაზე. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანი იყო, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერების განცხადებებს სათანადო და სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ჯგუფის ორგანიზატორებმა ჩვენების ჩაშლა ფილმის პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე დააანონსეს, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მხრიდან აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები არ გატარებულა. ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა კინოჩვენების ჩაშლის მიზნით აქცია გამართეს, რომლის დროსაც ფიზიკური დაზიანება მიიღეს ფილმის სანახავად მისულმა აქტივისტებმა. პოლიციამ ვერც კინოთეატრთან აგრესიულად განწყობილ დემონსტრანტთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენცია უზრუნველყო და არც მათ აგრესიულ ქმედებებზე ჰქონია სათანადო რეაგირება.

მიუხედავად იმისა, რომ იდენტობას ჯგუფის საქმეებში ხელისუფლებას ცალსახად მოეთხოვება უზრუნველყოს ლგბტ+ თემის წევრთა გამოხატვის თავისუფლება და შეკრების უფლება, ამ უფლებების რეალიზაციის კუთხით ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა წლიდან წლამდე არ უმჯობესდება. მაშინ, როდესაც უფლებების შეზღუდვის ფაქტები კერძო პირებიდან მომდინარეობს, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო უმოქმედო რჩება და პოზიტიურ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს გასული წლის ივნისში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, 2019 წლის 18-23 ივნისს „თბილისი პრაიდის" კვირეულის დაგეგმვის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი უთხრა აქციის ორგანიზატორებს უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფაზე. 14 ივნისს, „თბილისი პრაიდის" ორგანიზატორებს

[3] 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ" გვ.37

მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ აქციის ჩატარების საშუალება არ მიეცათ, ვინაიდან ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა აღნიშნული ტერიტორია დაიკავეს.

აპარატის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, დისკრიმინაციას იწვევს დაუცველი ჯგუფების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და არასწორი აღქმები, თუმცა მათ დასაძლევად, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებები ნაკლებად ტარდება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით დიდი როლი აქვს საჯარო პოლიტიკური თანამდებობის პირებს, თუმცა, ისინი, გასული წლების მსგავსად ახალისებდნენ და აღვივებდნენ ქვეყანაში დისკრიმინაციულ ნარატივს, რაც მათ ჰომოფობიურ და სექსისტურ განცხადებებში გამოიხატებოდა.[5]

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები არ ადასტურებს რაიმე სისტემური ხედვის არსებობას უმცირესობათა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად.[6] აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმაც არ შეიცავს თანასწორობის შესახებ შესაბამის თავს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში განხილული პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, რაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სტატისტიკაში აისახება, სწრაფი და ეფექტური გამოძიების წარმოება, ასევე სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი კვლავ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოწოდების მიუხედავად, ამ დრომდე არ არის შექმნილი პოლიციის განყოფილებებში ის საგამოძიებო დანაყოფი, რომელიც სპეციალიზებული იქნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა ცალსახად პოზიტიური მოვლენაა, იგი ვერ უზრუნველყოფს მინისტრთა კომიტეტის დავალების შესრულებას, რადგან დეპარტამენტის ფუნქცია მხოლოდ გამოძიების მონიტორინგია და არა უშუალოდ გამოძიების წარმოება. აღნიშნულ რეკომენდაციას საქართველოს აძლევს ასევე რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიაც (ECRI)[7]
.

[5] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში გვ. 183-184.

[6] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში გვ.177.

[7] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის(ECRI) 2019 წლის 5 მარტის დოკუმენტი. გვ. 5 ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2AT5BV4 > ბოლოს ნანახია [22.05.2020].

არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები

ამ თავში მიმოვიხილავთ „ცინცაბაძის ჯგუფის“ და გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს.

„ცინცაბაძის ჯგუფში“ შემავალი საქმეები ეხება სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლების (წამების აკრძალვა), როგორც არსებითი ისე პროცედურული ასპექტების დარღვევას. ხოლო გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტმა, 2017 წლის 12 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე „ჯ.ჩ, და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ“, საქართველოს მიერ გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-12 (სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება) და მე-13 (საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლება) მუხლების დარღვევა პირველ მუხლთან ერთობლიობაში და მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის (სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა აქტების აკრძალვა) დარღვევა დაადგინა.

ზემოაღნიშნული საქმეების საფუძველზე, წამების პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიზნით, სახელმწიფოს იდენტური ვალდებულებები წარმოეშობა. ამას ადასტურებს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიშებიც, რომელიც შეიცავს მსგავს შინაარსს წამებასთან ბრძოლის თვალსაზრისით „ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების“ და გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ზოგად ღონისძიებებთან მიმართებით, ასევე ამ მხრივ სახელმწიფოში არსებულ ვითარებაზე მსჯელობას ერთიანად წარმოგიდგენთ.

წამების და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა

სახალხო დამცველი მიესალმება წამების წინააღმდეგ ბრძოლოს პროცესში გასულ წლებში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. ასევე პოზიტიურად აღნიშნავს, რომ წამების წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასა თუ სამთავრობო სამოქმედო გეგმებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კონტექსტში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ მნიშვნელოვან გამოწვევაზე, რაც არსებობს გარკვეულ პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის სახით, კერძოდ, დაწესებულებებში არსებული სუბკულტურა და მისი გავლენა პატიმართა უფლებრივ მდგომარეობაზე. პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს დაწესებულებების არაფორმალური მმართველობა, რაც ხშირად განაპირობებს პატიმრებს

შორის ძალადობასა და ჩაგვრას. კრიმინალური სუბკულტურის გავლენით, პატიმრები არაფორმალურად დაიყოფიან. შედეგად, პატიმართა გარკვეული ნაწილი, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებს არაფორმალურ მმართველობას, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს პატიმართა შორის ძალადობას და გამოიხატება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არაფორმალური მმართველობის წესებს არ დაემორჩილებიან.[8]

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით არსებულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს უნდა დაემატოს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიაც და მისი დროულად შემუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა/არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება
იუსტიციის სამინისტრო მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მიმოიხილავს პროკურატურასთან მიმართებით განხორციელებულ ცვლილებებს და ყურადღებას ამახვილებს საპროკურორო საბჭოს როლზე. ამ კონტექსტში საინტერესოა უშუალოდ მინისტრთა კომიტეტის შეფასებები ამ საკითხზე. კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა კონსტიტუციური ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები პროკურატურის ინსტიტუციური ცვლილებებისკენ, თუმცა გამოთქვა სინანული, ამ პროცესში, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გაუზიარებლობის გამო.[9] ვენეციის კომისიის მსგავსად საქართველოს სახალხო დამცველსაც გააჩნია კრიტიკული შენიშვნები საქართველოს გენერალური პროკურატურის ინსტიტუციური ფორმირების მიმართ. კერძოდ, დაუბალანსებელია საპროკურორო საბჭოსა და გენერალური პროკურორის ფუნქციები. გენერალური პროკურორის, პარლამენტის მიერ, არჩევის შემდეგ საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებები ნომინალურია და არ ახდენს გავლენას პროკურატურის საქმიანობაზე. კერძოდ, მისი უფლებამოსილება გამორიცხულია ქვემდებარეობის განსაზღვრის, უწყებებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის და ასევე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების პროცესში.[10]

რაც შეეხება არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემურ პრობლემად რჩება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ პროკურატურა სწრაფად რეაგირებს და გამოძიებას იწყებს დროულად. კვლავ თვალსაჩინო პრობლემაა ასეთ საქმეებზე გამოძიების გაჭიანურება. საგამოძიებო

[8] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ.6; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში", გვ.20.

[9] Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06) 1324th meeting, 18-20 September 2018 (DH), პარ.7, ხელმისაწვდომია:< http://bit.ly/3cyptei > [ბოლოს ნანახია 20.05.2020].

[10] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.80.

ორგანოს მიერ დაწყებული გამოძიება უმეტეს შემთხვევებში წლების განმავლობაში უშედეგოდ გრძელდება.[11]

ამ მხრივ აღსანიშნავია ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეფასება. ის შემაშფოთებლად მიიჩნევს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებების გამოძიების და შესაძლო დამნაშავეების იდენტიფიცირების დაბალ ხარისხს.[12]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2013-2019 წლებში პროკურატურაში გაგზავნილი 107 წინადადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პასუხისმგებელი პირი არცერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა.

ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, დოკუმენტირება და გამოძიებისთვის შეტყობინება

არასათანადო მოპყრობის ფაქტის ეფექტიან გამოძიებას ხელს უშლის ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, დოკუმენტირება და დაზიანებების შესახებ საგამოძიებო ორგანოების ინფორმირებასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები.

<u>პენიტენციური დაწესებულებები</u>

მართალია, პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი წესით წარმოებს,[13] თუმცა, ამ წესის თანახმად, დაზიანების დოკუმენტირების საფუძველია ეჭვი, რომელიც ექიმს პატიმრის მიმართ ჩადენილი შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ გაუჩნდება. არსებობს რისკი, რომ ექიმმა არასათანადო მოპყრობის ფაქტები სრულყოფილად და ეფექტიანად ვერ გამოავლინოს, ვინაიდან ექიმის მიერ საეჭვო დაზიანებების შერჩევის კრიტერიუმები ნორმატიულ დონეზე არ არის გაწერილი. აღნიშნულის პრობლემურობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმების შედეგად დაწესებულებების ექიმების მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირების პრაქტიკის ხარვეზები გამოვლინდა.[14]

---

[11] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 78 და 83.

[12] Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06) 1324th meeting, 18-20 September 2018 (DH), პარ.10, ხელმისაწვდომია:< http://bit.ly/3cyptei > [ბოლოს ნანახია 20.05.2020].

[13] აღნიშნული წარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დადგენილი წესით.

[14] ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა სხეულზე საეჭვო დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, ექიმები არ ახდენენ მის დოკუმენტირებას №131 ბრძანებით დამტკიცებული დაზიანების აღრიცხვის წესის შესაბამისად. დახურული ტიპის დაწესებულებებში კი, დაზიანებების დოკუმენტირება მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც დაწესებულებაში შესახლების დროს ბრალდებული მიუთითებს, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან, მის მიმართ არასათანადო მოპყრობა განხორციელდა.

კერძოდ, რიგ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო პატიმრის მიმართ სავარაუდო ძალადობრივი ქმედების ჩადენის ნიშნები, დაზიანების აღრიცხვის ფორმა არ შევსებულა.

მონიტორინგების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დოკუმენტაციებში აღმოაჩინეს იმ სახის დაზიანებები, რაც იწვევდა ეჭვს პატიმარზე სავარაუდოდ განხორციელებული ძალადობის შესახებ. მაგალითად, სისხლნაჟღენთები თვალბუდეზე და ზურგზე, რომელზეც მითითებული იყო, რომ პატიმარმა მიიღო საწოლიდან ჩამოვარდნის შედეგად. ასეთ შემთხვევებზე ექიმები განმარტავდნენ, რომ ეჭვი ძალადობაზე არ გასჩენიათ. შესაბამისად, საჭიროა ექიმებს ჰქონდეთ გაწერილი კრიტერიუმები, თუ როგორი აღწერილობის, მდებარეობის და სხვა მახასიათებლების მქონე დაზიანება შეიძლება იქნას მიჩნეული ძალადობაზე ეჭვის საფუძვლად.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას, სხვა გარემოებებთან[15] ერთად, განაპირობებს ექიმების არასათანადო კვალიფიკაცია, პატიმართან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის შესაძლებლობის არარსებობა, დოკუმენტაციის შევსებისათვის პატიმრის მხრიდან ინფორმირებული თანხმობის მიღების ვალდებულება და სხვა ნორმატიული ხარვეზები[16], რომელთა შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს №131 ბრძანების ხარვეზიანი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, წამების და არასათანადო მოპყრობის ეჭვის შემთხვევაში, ექიმი შეტყობინებას იუსტიციის სამინიტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს უგზავნის, რომელიც არ წარმოადგენს ინსტიტუციურად დამოუკიდებელ უწყებას.

<u>შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა</u>

პენიტენციური სისტემისგან განსხვავებით, ცალსახად პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, რომლის შედეგად, როდესაც იზოლატორის ექიმს უჩნდება ეჭვი დაკავებულის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე, შეტყობინება აღნიშნულის თაობაზე, პირადად ექიმის მიერ იგზავნება საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში. ეს ცვლილება იყო, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია წლების მანძილზე და მისასალმებელია, რომ დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

რაც შეეხება ძალადობის შემთხვევების გამოვლენის მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებულ ხარვეზებს, ამ ნაწილში პრობლემურია იზოლატორის ექიმის მიერ დაკავებულის სამედიცინო შემოწმების პროცესზე დროებითი მოთავსების

[15] მაგალითად, დაწესებულებებში არსებული სუბკულტურის გავლენა (დაწესებულებებში დამკვიდრებული არაფორმალური წესების მიხედვით, ძალადობის მსხვერპლმა არ უნდა გაამჟღავნოს დაზიანების მიყენების ფაქტი და მით უმეტეს - მიზეზები) და ძალადობის მსხვერპლთა უნდობლობა გამოძიების ორგანოების მიმართ.

[16] დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში.

იზოლატორის თანამშრომლების დასწრება, ან ექიმის კაბინეტის კართან მათი დგომა და საუბრის მოსმენა, რის გამოც აღნიშნული პროცესი კონფიდენციალურად არ მიმდინარეობს. მსგავს არაკონფიდენციალურ გარემოში სამედიცინო შემოწმების ჩატარება დაკავებულ პირს უბიძგებს, შიშის გამო, დამალოს დაზიანების რეალური წარმომავლობა.

ასევე, არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოსავლენად, უმნიშვნელოვანესია, რომ ექიმმა დაადგინოს კავშირი დაკავებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებსა და დაკავებული პირის გადმოცემით, დაზიანებების მიყენების მეთოდებს შორის.[17] წინა წლების მსგავსად, კვლავ ხარვეზებით მიმდინარეობს ექიმების მიერ დაზიანებების დოკუმენტირების პრაქტიკა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ დამუშავებული ინფორმაციის შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, დაზიანებების მიღების გარემოებები (ვითარება და მეთოდი) არასრულყოფილად ან საერთოდ არ აღიწერება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ექიმი ადგენს შესაბამისობას არსებულ დაზიანებასა და მისი მიღების გარემოებებს შორის, მაშინ როდესაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ აქვს აღწერილი. პრობლემურია ასევე დაზიანებების ფოტოგრაფირების საკითხი, როგორც გადაღებული ფოტოების რაოდენობის, ასევე ფოტოების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის თვალსაზრისით.

რაც შეეხება საეჭვო დაზიანებების პროკურატურასა და 2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინების ფაქტებს, აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ წინა წლების მსგავსად, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც ასეთი საქმეების შესახებ პროკურატურაში/სახელმწიფო ინსპექტორთან შეტყობინება არ გაგზავნილა. 2019 წელს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული 449 საქმიდან [18], 98 (21,8 %) ასეთი შემთხვევა დაიდენტიფიცრდა.

მოსამართლის როლი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის პროცესში

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება 2019 წლის ივლისიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191[1] მუხლში შეტანილი ცვლილებების ამოქმედებას, რომელთა თანახმადაც, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდება, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს. ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[19] არის

[17] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო „სტამბოლის პროტოკოლი“, პარ. 104.

[18] საეჭვო შემთხვევას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაკავების გარემოებების, დაზიანების ლოკალიზაციის, რაოდენობის და ხასიათის მხედველობაში მიღებით, გაუჩნდათ ეჭვი, რომ დაკავებული პირი, სავარაუდოდ, არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა.

[19] გამოკითხული ადვოკატების 45.2% აღნიშნავს, რომ მოსამართლემ სათანადოდ არ იმსჯელა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. მაგალითისათვის, აჭარის

შემთხვევები, როცა მოსამართლე სათანადოდ არ მსჯელობს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. ზოგიერთმა გამოკითხულმა ბრალდებულმა სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს განუცხადა, რომ მათ აღენიშნებოდათ ხილული მრავლობითი დაზიანებები (მათ შორის, სახის არეში) და მოსამართლეს ამ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეებმა საგამოძიებო ორგანოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191[1] მუხლის გამოყენების საფუძვლით 25 შემთხვევაში მიმართეს (როგორც არსებითი განხილვის, ისე სასამართლოში პირველი წარდგენის დროს).[20]

ვფიქრობთ, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირებთან მიმართებით არასათანადო მოპყრობის ფაქტები ფიქსირდება, აღნიშნულის პრევენციისა და გამოძიების ხელშეწყობისათვის, აუცილებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

დაზარალებულთა ჩართულობა გამოძიების მიმდინარეობისას და საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა

აღსანიშნავია, რომ „ცინცაბაძის ჯგუფის" საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არასათანადო მოპყრობის აკრძალვისა ან სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტებზე სახელმწიფოს მიერ წარმოებული გამოძიების არაეფექტიანობას, მათ შორის, იწვევდა ის გარემოებაც, რომ დაზარალებულები სათანადოდ არ იყვნენ ჩართულნი გამოძიების მიმდინარეობისას.

არასათანადო მოპყრობის გამოძიების თვალსაზრისით, დაზარალებულის პროცესში ჩართულობა კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, მხოლოდ დაზარალებულს აქვს უფლებამოსილება გაეცნოს სისხლის სამართლის გამოძიების მიმდინარეობას, მის მასალებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2012-2019 წლებში პროკურატურაში გაგზავნილი 107 წინადადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, გამოძიებამ მხოლოდ ორ შემთხვევაში ცნო პირი დაზარალებულად.[21] არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალწარმოების პრაქტიკაც ადასტურებს, რომ გამოძიების მიერ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება იშვიათი მოვლენაა.[22]

რეგიონიდან 2 ადვოკატის მითითებით, იმ შემთხვევაშიც, როცა აშკარაა პირის მიმართ სავარაუდოდ ძალადობის განხორციელების შემთხვევა, სასამართლო საგამოძიებო ორგანოს არ მიუთითებს დაიწყოს გამოძიება არასათანადო მოპყრობაზე.

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 თებერვლის წერილი №3-96-20.

[21] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 82.

[22] სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა,

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ნათლად წარმოჩინდა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით პროკურატურის არაერთგვაროვანი მიდგომა. აუცილებელია საგამოძიებო ორგანოების მიერ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საფუძვლები ერთგვაროვანი და განჭვრეტადი გახდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს იმ პირის გამოძიების მიმდინარეობაში ჩართულობა, რომლის უფლებებიც სავარაუდო დანაშაულის შედეგად დაირღვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების უზრუნველყოფა

პოლიციის დაწესებულებებში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი ელექტრონული (აუდიო ან/და ვიდეო) გადაღება, წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი გარანტიაა.[23] საქართველოს კანონმდებლობით, პოლიციის დაწესებულებებში დაკავებულ პირთა დაკითხვის/გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეოჩაწერა სავალდებულო არ არის და პოლიციელთა შეხედულებაზე დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში ყველა ტერიტორიული ერთეული აღჭურვილია შიდა და გარე სამეთვალყურეო კამერებით, სამწუხაროდ, ყველა სივრცე, სადაც დაკავებულს ან მოქალაქეს უწევს ყოფნა ვიდეო მეთვალყურეობით დაფარული არ არის.

ზემოაღნიშნულის გარდა, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია პოლიციელების მიერ სამხრე კამერების გამოყენების პრაქტიკა. მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეო და აუდიოჩაწერა პოლიციელის დისკრეციაზეა დამოკიდებული.

რეკომენდაციები

წინამდებარე ალტერნატიულ ანგარიშში მიმოხილული საკითხების საფუძველზე, წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, რაც მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა მისცეს მთავრობას ზემოაღნიშნულ საქმეებზე საერთაშორისო მექანიზმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულფასოვნად აღსრულების მიზნით.

იდენტობის ჯგუფის საქმეებზე

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს სამართალდარღვევის დისკრიმინაციული მოტივი, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება

2018, გვ. 28; არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, გვ. 32.

[23] საბოლოო დასკვნა რუსეთის ფედერაციის მიმართ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, CAT/C/RUS/CO/6, 28.08.2018.

- სპონტანური თუ წინასწარ დაგეგმილი შეკრებებისა და კონტრშეკრებების მშვიდობიანად გამართვის უზრუნველსაყოფად, დროულად და სათანადოდ შეფასდეს მოსალოდნელი რისკები, ძალადობრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად
- ჩატარდეს ინტენსიური საზოგადოებრივი კამპანიები დისკრიმინაციის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად
- საჯარო პოლიტიკური თანამდებობის პირებმა თავი შეიკავონ დისკრიმინაციული განცხადებების გაკეთებისგან.

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე

- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დასაძლევად, შემუშავდეს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგია
- დაევალოს საქართველოს იუსტიციის მინისტრს განახორციელოს ცვლილება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №131 ბრძანებაში და განისაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექიმის ვალდებულება, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ, შეტყობინება გაუგზავნოს დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს - საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატს
- დაევალოს საქართველოს იუსტიციის მინისტრს განახორციელოს ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №131 ბრძანებაში და განისაზღვროს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულმა ექიმმა დაზიანება უნდა აღწეროს, ფოტო გადაუღოს და დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოებს გადაუგზავნოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოეშვება ეჭვი პატიმრის მიმართ ჩადენილი შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ, განურჩევლად იმისა, მიიღო თუ არა ექიმმა პატიმრისგან ინფორმირებული თანხმობა
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა
- დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება
- დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს პილოტურ რეჟიმში უზრუნველყოს პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება.